

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და

ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (30 00)

მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა - თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა

განმახორციელებელი - შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება, სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	102,619.8	130,969.9	130,919.6	100.0%	9,182.8
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	102,094.0	129,698.3	129,698.3	100.00%	
30 06 01	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება <i>(ფულადი გრანტი)</i>		17.6	17.6	100.0%	
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	509.0	932.0	930.2	99.8%	9,182.8
30 06 02	მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა <i>(ფულადი გრანტი)</i>	16.8	322.0	273.5	84.9%	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

1. ღონისძიების დასახელება: ინციდენტებზე /საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი პრევენცია

1.1 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება.

- საანგარიშო პერიოდში 72 621 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება, მათ შორის იყო ხანძრები/ავეთექებები/ავეთექების საფრთხეები, ავარიები ქიმიურად საშიში ნივთიერებების გაჟონვით ან გაჟონვის საშიშროებით, ავარიები ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებში, შენობების/ნაგებობების/ქანების მოულოდნელი ჩამოქცევა, სახიფათო გეოფიზიკური და გეოლოგიური მოვლენები, სამთო და წყალზე სამაშველო ღონისძიებები და სხვა;

- ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე პირველი დანაყოფის გამოძახების ადგილზე მისვლის დრო ქალაქისა და დაბის დასახლების ტერიტორიაზე უმეტეს შემთხვევაში არ აღემატება 10 წუთს, ხოლო სოფლის დასახლებაში – 20 წუთს;
- საანგარიშო პერიოდში, სამსახურის 200-მდე მეტი მოსამსახურე ჩართული იყო თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში;
- საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში, 2023 წლის 3 აგვისტოს განვითარებული სტიქიური უბედურების (მეწყერი, ღვარცოფი) შედეგების სალიკვიდაციო და ძებნა-შველის ღონისძიებებს.
- საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა გურიის რეგიონში 2023 წლის 7 სექტემბერს განვითარებული სტიქიური უბედურების (წყალდიდობა, მეწყერი) შედეგების სალიკვიდაციო და ძებნა-შველის ღონისძიებებს.
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 282 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები;
- 2023 წლის მარტში, დაბა ბაკურიანში, გამართულ სნოუბორდისა და ფრისთაილის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეთა და დამსვენებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ინციდენტის/საგანგებოს სიტუაციის პრევენციის მიზნით, მობილიზებული იყო სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დამატებითი ჯგუფები;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრის საკლასო ოთახებში (ქ. თბილისი, უცნობ გმირთა ქ. N182), მოეწყო და დამონტაჟდა საკომუნიკაციო ქსელი, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა, ციფრული სატელევიზიო მოწყობილობები, კომპიუტერული ტექნიკა და ბარათის ქსელური წამკითხველები;
- საგანგებო სიტუაციებზე შეტყობინებების, განხორციელებული რეაგირების და შედეგების ოპერატიულად მიღება-გადაცემის მიზნით, იმერეთის, აჭარის ა/რ, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და შიდა ქართლის სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ავტომატურად დამონტაჟდა პლანშეტური კომპიუტერები;
- სასწავლო ცენტრში და მცხეთა-მთიანეთის და კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფების ზოგიერთ მეხანძრე-მაშველებს (დრონის პილოტები), ჩაუტარდათ უპილოტო საფრენი აპარატის (დრონი) მართვის თეორიული და პრაქტიკული სწავლების საბაზო კურსი;
- სამსახურის ფსიქოლოგების მიერ განხორციელდა 105 ინდივიდუალური და 5 ჯგუფური სესია. ჯგუფური სესიების მიზანს წარმოადგენდა კონკრეტული სტრესული სახანძრო-სამაშველო მოქმედებების განხილვა/გაანალიზება და მასთან დაკავშირებული დისფუნქციური აზრების და ტრიგერების გადამუშავება;
- გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით, ფართომასშტაბიანი პროგრამის „კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა აბაშის, სენაკის, თბილისის, ხობის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე სწავლების პირველი ეტაპი, ასევე, სენაკის მუნიციპალიტეტის სწავლების მეორე ეტაპი;
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) ფინანსური მხარდაჭერით, კლიმატის რისკის ინტეგრირებული მართვის (CRM) პროექტის ფარგლებში, განხორციელდა თბილისის, სამტრედიის, ხობის, აბაშის და სენაკის მუნიციპალიტეტებში საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების მიზნით, მერიის სამსახურების უფროსებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უფლებამოსილი პირების მომზადების მე-2 და მე-3 ფაზებით გათვალისწინებული ღონისძიებები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, გაეროს მომსახურების ოფისის (UNOPS) ორგანიზებით დაგეგმილ ინციდენტების მართვის სისტემასა (ICS) და სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებსა (SOPS) და ინციდენტის რეგისტრაციის, ინფორმაციის მართვისა და ტექნოლოგიების საკითხების შესახებ ტრენინგზე;

- სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქვეყნის წესების საკითხებზე სწავლება ჩატარდა 12 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 7 საჯარო სკოლაში;

- სსიპ ქ. ქუთაისის საჯარო სკოლებში ჩატარდა სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული (შენობიდან ევაკუაციის სიმულაცია) ჩვენება;

- მომზადდა “EU MODEX GEORGIA 2023”-ის სწავლების მასალები, მონაწილე უწყებების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ შესაბამისი კონსულტაციები და ჩატარდა სწავლება;

- ქალაქ ბოდბეში, ევროკავშირისა და ნორვეგიის სამოქალაქო უსაფრთხოების დირექტორატის (DSB) ორგანიზებით ჩატარდა სრულმასშტაბიანი სასწავლო პროგრამა - Arctic REIHN 2023, რომელშიც დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ქვრბ მთავარი სამმართველოს თანამშრომელმა;

- აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების პროგრამის - "PPRD East 3"-ის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში საქართველოში ევროკავშირის ეგიდით ჩატარდა ფართომასშტაბიანი და მრავალეროვნული სავლელე სწავლება, რომელიც მიზნად ისახავდა ტყის ხანძრებზე რეაგირების კუთხით სხვადასხვა ქვეყნის კოორდინირებული მოქმედების პრინციპების დახვეწას;

- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამსახურის მოსამსახურეებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სწავლება/ტრენინგებში:

- PPRD East 3 პროგრამის მესამე ეტაპის ფარგლებში (თბილისი/ბორჯომი/თელავი) დაგეგმილ სწავლებაში "ტყის ხანძრების ინსტრუმენტების გამოყენება და ეროვნული ბიულეტენის შემუშავება";
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარებულ ტრენინგში;
- აშშ-ს სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებულ ერთობლივ სწავლებაში;
- ავსტრიის სამთო პოლიციის ექსპერტების მიერ სამთო-სამაშველო საქმიანობის საკითხებზე ჩატარებულ სწავლებაში;
- სომხეთში, ქ. ერევანში გამართულ ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის საგრანტო პროგრამის პროექტი - "TTX"-ის მთავარ დამაგეგმარებელ კონფერენციაში;
- უწყებათაშორისი სწავლება "დიდგორი 2023" დამაგეგმარებელ კონფერენციაში;
- დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (DEMA) მხარდაჭერით დაგეგმილ სტრატეგიული ღონის სემინარში „მედეგობა და კრიტიკული ინფრასტრუქტურა“;
- სკოპიეში (ჩრდილოეთ მაკედონია) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) ეგიდით, წყამოვარდნის სისტემის (FFGS) მეორე გლობალურ სამუშაო შეხვედრაზე;
- ბორჯომისა და რაჭის მუნიციპალიტეტებში აშშ-ს თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, დაგეგმილ წყალზე სამაშველო პრაქტიკულ სწავლებაზე;
- ქ. ბათუმში, აშშ სამხედრო ძალების უსაფრთხოების განყოფილებისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების ორგანიზებით დაგეგმილ სამედიცინო გაცვლით პროგრამაში;
- ქ. კრაკოვში, გამართულ ტრენინგში "პოლიციელებისთვის საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად";
- პოლონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სახანძრო სამსახურთან პროექტის "საქართველოში კრიზისების მართვის ფარგლებში სამაშველო დანაყოფის ქსელის განვითარება და ანალიზი" ფარგლებში, გამართულ სწავლებაში;
- ატლანტაში (ამერიკის შეერთებული შტატები) დაგეგმილ სამაგიდო ვარჯიშზე, თემაზე - "შიდა ოპერაციების გაცნობა";
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP), კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში "ინსტრუქტორთა მომზადების კურსი" (ToT), გადამზადდა ეროვნული გვარდისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების პირადი შემადგენლობა;
- პოლონური დახმარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, "ICAD"-ს ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ სამთო-სამაშველო სწავლებაში;

- ექოლოტის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაში;
- ქალაქ ტურინში (იტალია) გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის (UNICRI) პროექტის “CONTACT – Black Sea” ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა თემაზე "რადიაციული და ბირთვული ნივთიერებების და მასალების გამოვლენა სახელმწიფოს კონტროლს მიღმა დარჩენილ ტერიტორიებზე";
- ქ. ობერამერგაუში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ნატოს სკოლაში ჩატარდა კურსი NATO CBRN Analysis Operators Course (P3-74) თემაზე: „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტების ანალიზის პროცედურები“;
- ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (MAGATE) ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ;
- აშშ-ს ენერჯეტიკის დეპარტამენტის (DoE) და ევროკომისიის კვლევითი ცენტრის დაფინანსებით ატომური ექსპერტიზის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის (ITWG) 26-ე საერთაშორისო შეხვედრის ფარგლებში ჩატარდა სიმულაციური სწავლებაში;
- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით ქალაქ პერიში (ჯორჯიის შტატი, აშშ) გამართულ ბირთვულ და რადიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ სწავლებაში;
- ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ორგანიზებით ქბრზ საფრთხის შემცველი მასალების გამოყენების ადგილზე სამაგიდო და პრაქტიკული უწყებათაშორისი სწავლებაში;
- ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის მხარდაჭერით გამართულ „ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კონტექსტში საგანგებო სიტუაციებში დახმარების აღმოჩენის“ კურსში (Course on Disaster Relief in CSDP Context);
- ევროკავშირის სამოქალაქო უსაფრთხოების მექანიზმის საგრანტო პროგრამის პროექტ - HOPE-ში მონაწილე შემფასებელთა ონლაინ ტრენინგში;
- ადამიანის უსაფრთხოების ტრენინგ, რომელიც თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაში (DIBS) ჩატარდა ბრიტანეთის საელჩოსა და მთავრობის ხელშეწყობით;
- აშშ თავდაცვის თანამშრომლობის ოფისთან (US ODC) თანამშრომლობის ფარგლებში, რაჭის რეგიონში სამთო-სამაშველო სწავლებაში;
- პოლონური დახმარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, "ICAD"-ს ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ სწავლებაში მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორცაა: გადარჩენითი სამუშაოები მაღალმთიან რაიონში, ყინულზე მუშაობა რეალურ პირობებში და მყინვარზე გადაადგილების წესები;
- დანიაში ქ. კოპენჰაგენში დანიის მზადყოფნის სისტემისა და გვარდიის მოხალისეობრივი პროგრამის გასაცნობად DEMA-ს ორგანიზებით ჩატარებულ სწავლებაში.

1.2 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 5924 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება), კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდში სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩატარდა 2154 ობიექტს:
 - დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ჩატარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 237 ობიექტს;
 - მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩატარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 745 ობიექტს;
 - საკონტროლო სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა) ჩატარდა ზედამხედველობას დაქვემდებარებულ 225 ობიექტს;

- სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა (შესაბამისობა) დაუდგინდა 484 ობიექტს;
 - ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა განხორციელდა 207 ობიექტზე;
 - შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების ზომების მომზადების მიზნით განხორციელდა 256 ობიექტზე;
- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით სამსახურის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 2781 კორესპონდენცია:
 - მიწის ნაკვეთზე შენობის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ (პირველი სტადიის) შემოსული დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 722 რეკომენდაცია;
 - შენობა-ნაგებობების არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე (მეორე სტადია) შემოსული დაპროექტების დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადდა და გაიგზავნა 1339 რეკომენდაცია, მათ შორის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 242 დაპროექტების დოკუმენტზე;
 - სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების თაობაზე მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისგან შემოსულ წერილებზე მომზადებული იქნა 153 საპასუხო წერილი;
 - სამსახურის სისტემაში შემოსულ 567 დაპროექტების დოკუმენტაციაზე მომზადდა შენიშვნა-წინადადებები, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე დადებითი პასუხი გაეცა 311 დაპროექტების დოკუმენტზე;
 - სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით მოქმედი ცხელი ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა შეხვედრების ორგანიზება და კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის/ორგანიზაციებისათვის. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 600 - ზე მეტი ზარი. ასევე, გაიმართა 389 საკონსულტაციო შეხვედრა;
 - საანგარიშო პერიოდში, ასევე, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით, ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენციის მიზნით, სამსახურის მიერ განხილულ იქნა დარგობრივი საკანონმდებლო აქტები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;

1.3 შეფასების ინდიკატორი: ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების გამომწვევ ფაქტორების პრევენცია

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურ ფაზაში მუშაობს გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისის (UN OCHA) ქოლგის ქვეშ შემავალი საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფთან (INSARAG) კლასიფიკაციის მიღების კუთხით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2023 წლის 29-31 აგვისტოს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის დახმარების ფედერალური სამსახურის (THW) წარმომადგენელი ივან გუტმანი, რომელიც შეასრულებს INSARAG-ის ახალი მენტორის მოვალეობას. ვიზიტის ფარგლებში განიხილებოდა არსებული მდგომარეობის შეფასება და შემუშავებული იქნა წელიწადნახევრიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვით დაიგეგმა საკვალიფიკაციო სწავლება 2025 წლის გაზაფხულზე.

1.4 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში მომზადებული/გადამზადებული სამსახურის მოსამსახურეები

- მეხანძრე-მაშველის საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია;
- ცვლის მეთაურის საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია;
- უპილოტო საფრენი აპარატის (დრონი) გამოყენების საბაზისო მომზადების კურსი დამტკიცებულია;
- სასწავლო ცენტრში სწავლებისა და შეფასების სისტემის წესი დამტკიცებულია;
- სასწავლო ცენტრის მსმენელის ქცევის წესი დამტკიცებულია;

- სასწავლო ცენტრის სერტიფიკატის ფორმები და სერტიფიკატის გაცემის წესი დამტკიცებულია;
- დაწყებულია ISO 210001 საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სტანდარტის დანერგვისთვის საჭირო აქტივობები;
- დაწყებულია მუშაობა სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად.
- სასწავლო ცენტრმა დაიწყო სახანძრო და სამაშველო თემატიკის სახელმძღვანელო ლიტერატურის შემუშავება.
- სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელებმა და ინსტრუქტორებმა, გაიარეს საერთაშორისო სწავლებები - ტრენინგთა ტრენინგი.
- 386 მესამრე-მამველი და ცვლის მეთაური გადამზადებულია;

2. ღონისძიების დასახელება: საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში ტექნოლოგიების განვითარება:
შეფასების ინდიკატორი: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი.

eFss - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა

საანგარიშო პერიოდში, მოთხოვნების შესაბამისად, სისტემას დაემატა შემდეგი ფუნქციონალი:

- აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- საკონტროლო შემოწმებების სიის შემოწმება და ფორმირება წლიური გეგმის ცვლილებისთვის;
- სისტემების გამოცდის ბლანკის მოდიფიცირება;
- წლიურის ფორმირების ფორმის მოდიფიცირება;
- ელექტრონული ჯარიმების აპლიკაციის ტესტირება;
- საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზის განახლება;
- საზედამხედველო ობიექტებისათვის ადგილზე შესავსები ანკეტის ფორმის შემუშავება/მოდიფიცირება;
- ბრძანების ცვლილების ახალი სახით ფორმირებისათვის თავისუფალი ან/და შეთანხმებული ბლანკის ფორმირება;
- მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების მექანიკური სარეზერვო ასლის გაკეთება;
- ბაზაში არსებულ კომპანიებში სერვისით ავტომატური განახლება, მოდულის შემუშავება;
- დამატებითი ვალიდაციების შემუშავება მიწერილობის/შესაბამისობის შექმნისას;
- მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების მექანიკური სარეზერვო ასლის გაკეთება;
- საზედამხედველო ობიექტების საერთო ბაზის განახლება წლიურის მონაცემთა ბაზის ფორმირებისთვის.

eFris - სახანძრო და სამაშველო ოპერაციების მართვის საინფორმაციო სისტემა

საანგარიშო პერიოდში სისტემას დაემატა შემდეგი ფუნქციონალი:

- მიმდინარეობდა efris.es.gov.ge-ს ტექნიკური მხარდაჭერა და აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება;
- მიმდინარეობს მუშაობა სატესტო რეჟიმში გაშვებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების საბრძოლო გათვლის ონლაინ შევსების ფორმაზე (რეგიონული და ცენტრალური ოპერატორებისთვის) მოთხოვნის შესაბამისად. დაემატა საძიებო მოდული;
- efris.es.gov.ge-ს ლოჯისტიკის მოდულში გასწორდა შეცდომები და განახლდა მონაცემები;
- განხორციელდა efris.es.gov.ge-ს მოდულების კოდის განახლება/მოდიფიცირება.

maps.es.gov.ge - ინტერაქტიული რუკა

საანგარიშო პერიოდში:

- ინტერაქტიულ რუკაზე (maps.es.gov.ge) მიმდინარეობდა მონაცემების პერიოდული განახლება, სახანძრო ჰიდრანტების შესახებ ინფორმაციის დამატება და ხარვეზების გასწორება;

- მიმდინარეობს მუშაობა აპლიკაციაზე, რომლის დახმარებითაც ჰიდრანტების შესახებ მონაცემების ცვლილება ავტომატურად განახლდება ინტერაქტიულ რუკაზე;
- მიმდინარეობს მუშაობა ინტერაქტიური რუკის საიტის (maps.es.gov.ge) პროგრამული კოდის სრულად განახლებაზე.

სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე es.gov.ge განხორციელდა შემდეგი ცვლილებები

- ვაკანსიების განთავსების ფორმის მოდიფიკაცია;
- ფოტო-გალერიის მოდულის ადმინისტრირების განახლება;
- ვიდეო-გალერიის მოდულის ადმინისტრირების განახლება;
- სტრუქტურის მოდულის მოდიფიკაცია.

ოპერატიული მართვის ცენტრის აპლიკაცია და სერვისები

- მიმდინარეობს მუშაობა აპლიკაციაზე, რომლის საშუალებითაც მოხდება გარემოს ეროვნული სააგენტოდან ინფორმაციის ოპერატიული მართვის ცენტრში („ცენტრი1“) ავტომატური მიღება, შეტყობინების სახით;
- ოპერატორებისთვის შემუშავდა აპლიკაცია (alerts.es.gov.ge), რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეტყობინებების გაგზავნა;
- შეიქმნა Google ბრაუზერის დამატებითი მოდული (Extension), რომელიც უზრუნველყოფს alerts.es.gov.ge აპლიკაციასთან შეტყობინებების ავტომატურ ჩვენებას;

სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმა

- შემუშავდა სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის ტექნიკური დავალება.

3. ღონისძიების დასახელება: მეხანძრე-მაშველთა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის და ინფრასტრუქტურის განახლება/მოდერნიზაცია.

3.1 შეფასების ინდიკატორი: განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

- შეძენილ იქნა წყალზე განსახორციელებელი სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭირო მყვინთავის აღჭურვილობა;
- შესყიდულ იქნა სამაშველო ოპერაციების დროს წყლის ფსკერის დასათვალიერებელი მოწყობილობის "ექოლოტი";
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა მეხანძრე-მაშველის საბრძოლო ფორმა-ტანსაცმელი და აღჭურვილობა, ასევე, ყოველდღიური და ზამთრის უნიფორმები, სააღლუმე ფორმები, საწვიმარი ლაბადები, ოპერატორის მაისურები, უსაფრთხოების ფეხსაცმელები და ტყის ხანძრების საქრობი ზურჩანთები;
- ზაფხულის საკურორტო სეზონის მზადებასთან დაკავშირებით შეძენილ იქნა შესაბამისი სამაშველო აღჭურვილობა, ზღვაზე სამაშველო თოკები, ზღვაზე მაშველებისათვის სანაპიროზე სასიარულო ფეხსაცმელი და ფორმები, ასევე სამაშველო ყილეტი;
- შეძენილ იქნა სახანძრო ქაფი;
- საანგარიშო პერიოდში შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა და ვიდეო-აუდიო აპარატურა;

- ახალი შენობებისთვის შექმნილ იქნა საოფისე და საოჯახო ტექნიკა და ინვენტარი;
- საანგარიშო პერიოდში შექმნილ იქნა კონდიციონერები და სპორტული ინვენტარი;
- სტაციონალური დიზელ-გენერატორი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის შექმნილ იქნა ბორტის სახურავები და ელექტრო ჯალამბრები;
- სახანძრო ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელების ეფექტურობის ამაღლებისთვის შექმნილ იქნა პორტატული (საჯარიმო) პრინტერები;
- შექმნილ იქნა ოთხი ერთეული სახანძრო წყალდამცველი მოწყობილობა (კალათი);

3.2 შეფასების ინდიკატორი: განახლებული ავტოპარკი

- ტყის ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის 11 ერთეული (ახალი, არამეორადი) სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენის მიზნით გაფორმდა შესაბამისი კონტრაქტები. 2023 წელს მოწოდებულია 2 ერთეული მაღალი გამავლობის სახანძრო-სამაშველო ავტოსატრანსპორტო საშუალება და ჩაყენებულია განწესში, ხოლო დანარჩენი 9 ერთეული სახანძრო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოწოდება იგეგმება ეტაპობრივად 2024 წლის 31 იანვრამდე;
- წყალზე სამაშველო ავტოპარკის განახლების მიზნით, შექმნილია 4 ერთეული სწრაფმავალი კატარღა.

3.3 შეფასების ინდიკატორი: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- 2021 წელს დაიწყო და საანგარიშო პერიოდში დასრულდა ქ. კასპის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა;
- 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ხულოს სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობს ონის სახანძრო-სამაშველო ობიექტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- განხორციელდა ქ. ბათუმის ნავსაყუდელის ტერიტორიაზე განთავსებული სამაშველო განყოფილებისთვის საოფისე კონტინერების მოწყობის სამუშაოები;
- დაიწყო და მიმდინარეობს ქ. თბილისში, უცნობ გმირთა ქ. N182-ში სტადიონის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- დაიწყო და მიმდინარეობს კახეთის რეგიონში სამი ერთეული რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2025 წელს;
- ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდში დამსვენებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2 (ორი) ერთეული სტაციონალური კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;
- სამსახურის ლოგისტიკური პროცესების უფრო ეფექტურად წარმართვის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დაიწყო საწყობის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები, რომელის დასრულებაც იგეგმება 2024 წელს;
- საანგარიშო პერიოდში 2023 წლის საზღვაო სეზონთან დაკავშირებით სანაპირო ზოლზე განლაგებულ სამეთვალყურეო კომპლექსებს ჩაუტარდა გეგმიური სარემონტო სამუშაოები;
- ასევე, აქტიურად მიმდინარეობდა სამსახურის დანაყოფების შენობა-ნაგებობების იერსახის შენარჩუნების მიზნით, მათი მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

4 ღონისძიების დასახელება: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება:

4.1 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გაწეული მომსახურებების რაოდენობა.

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში არსებული სერვისების გაწევის მიზნით, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა და შესრულდა 1989 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებები

მოიცავს ისეთი მომსახურების გაწევას როგორცაა: სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის საკითხებზე სპეციალისტის კონსულტაცია; შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება; ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობებისა და სისტემების გამოცდა სათანადო აქტის გაფორმებით; შენობა-ნაგებობის საევაკუაციო გეგმის შემუშავება; ცეცხლსაშიში სამუშაოების, მასობრივი, სანახაობრივი, სპორტული ან/და სხვა ღონისძიებების ჩატარების დროს (გარდა უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, საქველმოქმედო ღონისძიებებისა, როდესაც მომსახურება უსასყიდლოდ გაიწევა), აგრეთვე ფილმის, რეკლამის ან კლიპის გადაღებისას სახანძრო/სამაშველო, საავარიო/სამაშველო ტექნიკით ან/და ეკიპაჟით მომსახურება, სახანძრო/სამაშველო, საავარიო/სამაშველო ავტოტექნიკის თხოვება; ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სიმულაციური განგამის ორგანიზება და ჩატარება სახანძრო/სამაშველო ტექნიკის გამოყენებით. ამასთან, ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული შემოსავლები მეტწილად ხმარდება სამსხურის განვითარებას;

4.2 შეფასების ინდიკატორი: სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვა.

- დაწყებულია მუშაობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს განვითარების ხედვის შესამუშავებლად;
- დაწყებულია მუშაობა სააგენტოს სერვისების განვითარების განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესაქმნელად.

5 ღონისძიების დასახელება: სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა.

5.1 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების მიმართულებით შემუშავებული ნორმატიული ბაზა.

- შემუშავებულია და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტებში შესათანხმებლად გაგზავნილ „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და „საქართველოს სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის და დაგროვების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მიღებულია შესაბამისი რეკომენდაციები/პასუხები. აღნიშნული პროექტების განხილვის პროცესში ჩაერთო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი;
- შემუშავებულია სახელმწიფო რეზერვების ხედვის პროექტი;
- მზადდება სახელმწიფო რეზერვების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

5.2 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

- საპასუხისმგებლო შენახვაზე არსებული მატერიალური ფასეულობის განახლება რეგულარულად ხდება პასუხისმგებელი შემნახველის მიერ.

5.3 შეფასების ინდიკატორი: სახელმწიფო რეზერვების ბაზის მარაგების კონტროლი.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობების რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაცია.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე და მინიჭებული INSARAG-ის (გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფის) კლასიფიკაცია;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდილი მაჩვენებელი;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, განვითარებული სახელმწიფო სერვისები;
- შექმნილი სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მარაგები;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში 72 621 ბუნებრივ, ტექნოგენურ და სხვა საგანგებო სიტუაციაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება;
- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შემოწმება/კონსულტირება, სამსახურის მოსამსახურეთა სპეციალური სწავლებები და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები. ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე, კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები;
- INSARAG-ის კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით შემუშავებულია წელიწადნახევრიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია საკვალიფიკაციო სწავლება;
- პილოტირების რეჟიმში დანერგილი ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris) განახლდა და დაემატა ახალი მოდულები;
- შემუშავდა და დაინერგა საოპერაციო გარემოში სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss) და დაემატა ფუნქციონალები;
- ნაწილობრივ განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ნაწილობრივ განახლდა წყალზე/სამთო სამაშველო და სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი;
- გაუმჯობესდა სამსახურის ინფრასტრუქტურა;
- ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაეწიათ ხარისხიანი მომსახურება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის, ნომენკლატურისა და დაგროვების ოდენობის განმსაზღვრელი საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტები;
- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;
- ჩატარდა საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული სახელმწიფო რეზერვების მატერიალური ფასეულობის ინვენტარიზაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციისათვის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს სხვადასხვა სახის (სამთო, წყალქვეშა და სახანძრო-სამაშველო) ოპერაციებს. ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების დრო (საშუალო მაჩვენებელი) დასახლებულ ტერიტორიებზე შეადგენს 10 წთ-ს. დღეის მდგომარეობით შექმნილია ურბანული საძიებო სამაშველო ჯგუფი (USAR), რომელსაც მენტორობას უწევს გერმანიის ტექნიკური დახმარების ფედერალური სამსახური (THW). ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების პრევენციის მიზნით, სამსახური ახორციელებს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის ზედამხედველობას, რომელთა საერთო რაოდენობა აღემატება 16 ათას ობიექტს;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საოპერაციო გარემოში დასანერგია და პილოტირების რეჟიმში შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით გასაუმჯობესებელია ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების აღრიცხვისა და სახანძრო-სამაშველო ძალების მართვის ერთიანი ცენტრალიზებული საინფორმაციო სისტემა (eFris); სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, პილოტირების რეჟიმში შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით დასახვეწია სამსახურის მიერ შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა (eFss).
- გასახლებელია სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 50%. დღეის მდგომარეობით სამსახურის სახანძრო-სამაშველო მანქანების 40%, მცურავი საშუალებების 47%, სამთო-სამაშველო საშუალებების 44%, ასევე, არ არის საკმარისი სამთო-სამაშველო ავტოპარკის არსებული რაოდენობა. სახანძრო-სამაშველო ობიექტების 74% საჭიროებს რეაბილიტაციას.;
- დაწყებულია მუშაობა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს განვითარების ხედვის შესამუშავებლად. მიმდინარეობს მუშაობა სააგენტოს სერვისების განვითარების განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესაქმნელად. ამჟამად განაცხადების მიღება ხორციელდება როგორც ფიზიკურად, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
- შემუშავებულია სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნის და მართვისთვის საჭირო ნორმატიული აქტების პროექტები; შემუშავებულია სახელმწიფო რეზერვების ხედვის პროექტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

- ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების ხარისხის გაუმჯობესება; ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რეაგირების შედეგად იურიდიული და ფიზიკური პირების ქონებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა; სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებულია 4 000 აქტივობა (მათ შორის ობიექტების შემოწმება); გაეროს საერთაშორისო საძიებო სამაშველო მრჩეველთა ჯგუფ „INSARAG“-ით აკრედიტაციისათვის გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები;
- საოპერაციო გარემოში სრულად დანერგილია ინციდენტების აღრიცხვისა და ოპერაციების მართვის ელექტრონული სისტემა (eFris); სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალი განვითარებულია/გაუმჯობესებულია;
- 5%-ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ჩანაცვლებულია/განახლებულია სხვადასხვა ტიპის 2 მცურავი/სამთო სამაშველო საშუალება; სახანძრო-სამაშველო ობიექტების დამატებით 1% რეაბილიტირებულია;
- სერვისების განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხედვის სამოქმედო გეგმა შემუშავებულია; სერვისების განვითარების განყოფილების სტანდარტული სამოქმედო პროცედურები (SOP) შემუშავებული და დამტკიცებულია; მომსახურების ელექტრონული ფორმით წარმოებაზე სრულად გადასვლისთვის მოსამზადებელი ღონისძიებები დაწყებულია;
- სახელმწიფო მატერიალურ რეზერვების ხედვის პროექტი დამტკიცებულია და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- რეაგირებული ინციდენტების/საგანგებო სიტუაციების რაოდენობა და მათი პრევენციის მიზნით სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები;
- ინციდენტებზე/საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებების ელექტრონული სისტემების შექმნა/განახლება;
- განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახანძრო-სამაშველო ავტოპარკი და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა;
- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების განვითარება;
- სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ბაზის განახლება და შევსება.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე.

სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებმა, რაც უშუალოდ უკავშირდება სერვისების განვითარების მოკლევადიან და გრძელვადიან ხედვებს, ასევე, სამოქმედო გეგმას, აუცილებელი გახდა დოკუმენტების პროექტებში კორექტივების შეტანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტები კვლავ შემუშავების პროცესშია.

„საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების ობიექტების, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, სხვადასხვა უწყებიდან მიღებული რეკომენდაციების და პასუხების გათვალისწინებით გადამუშავდა და მისი განხილვის პროცესში ჩაერთო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი. ველოდებით რეკომენდაციებს საბჭოდან. აღნიშნული დადგენილების მიღებაზე დიდწილადაა დაკავშირებული სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განვითარების ხედვის პროექტის დასრულება.